



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1600
29/08/2018

ქალაქი ბათუმი

1600-05-4-201808291539



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა გამოსავლენი კომისიის შექმნის შესახებ

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის მიერ 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის #79 განკარგულებით დამტკიცებული დანართი #4 და საქართველოს ორგანული კანონის „დგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** :

1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა გამომვლენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) კახაბერ ფუტკარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ქეთევან დევაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული განათლების და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) მადონა დავითაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების და კულტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი, კომისიის მდივანი;

2. ეთხოვოს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება:

- ა) გურანდა დოლიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

3. დაევალოს კომისიას შემოსული განცხადებების საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა

გამოვლენა, რომლებსაც 2017-2018 წწ მეორე სემესტრში აქვთ 91 და მეტი ქულა (A კატეგორია) და 2018 წლის 11 სექტემბრამდე ინფორმაციის წარმოდგენა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

